ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 361

"29" სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის VII კვარტალის კორპუსი 1-ის მიმდებარედ არსებული 475 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.021.020) 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ალექსი ლაბაძისთვის (პ/ნ: 01008000649) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის VII კვარტალის კორპუსი 1-ის მიმდებარედ არსებული 475 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.021.020) 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ალექსი ლაბაძისთვის (პ/ნ: 01008000649) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 20 სექტემბრის №35.09.675 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის VII კვარტალის კორპუსი 1-ის მიმდებარედ არსებული 475 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.021.020) 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ალექსი ლაბაძისთვის (პ/ნ: 01008000649) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4100 (ოთხი ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი